შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"

სამშენებლო ექსპერტიზა, პროექტირება, მშენებლობა.

№16-05-18 16 მაისი 2018 წ.

დასკვნა

ქ.თბილისი, კახეთის გზატკ. №106 (ნაკვეთი 02/073) მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.16.002.073-ზე მშენებარე საწარმოო ფუნქციური დანიშნულების შენობის სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მიზანშეწონილობის შესახებ

ჩემს მიერ, ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა ქ.თბილისი, კახეთის გზატკ. №106 (ნაკვეთი 02/073) მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.16.002.073-ზე მშენებარე საწარმოო ფუნქციური დანიშნულების შენობის სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მიზანშეწონილობას. ამასთან, ვიზუალურად შემოწმდა სამშენებლო პოლიგონის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობაც, სამუშაოების ჩატარებისას მათზე შესაძლო უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

პროექტის მიხედვით შენობა ერთსართულიანია, გაბარიტული ზომებით 46.40X24.00მ. მისი მზიდი ელემენტების წარმოდგენილია ლითონკონსტრუქციის სახით. კედლების შემავსებელია წვრილი სამშენებლო ბლოკი ბეტონის დულაბზე . – მოწყობილი ლენტური ტიპის საძირკველზე. სახურავი ორქანობიანია. გადახურვის მასალალად მოისაზრება პროფილირებული ლითონის ფურცლოვანას ბურული.

ზოგადად მშენებარე შენობა შეიძლება ჩაითვალოს მსუბუქი ტიპის კონსტრუქციებით ნაშენ ნაგებობად.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის თანახმად მიწის გრუნტი იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში.

ჩვენს მიერ დათვალიერება ჩაუტარდა მიმდებარე მოწის ნაკვეთებზე არსებულ შენობა-ნაგებობებს, საპროექტო შენობის მშენებლობისა ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში მათზე რაიმე სახის ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

მიწის ნაკვეთზე საპროექტო შენობის განთავსება ხდება ამავე მიწის ნაკვეთზე არსებული საწარმოო დანიშნულების შენობის (1/1) სიახლოვეს, საპროექტოსა და არსებულ შენობას შორის მანძილი 2.00-3.00 მეტრია. არსებული შენობა წარმოადგენს ერთსართულიან

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +995 595 90 22 25;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 90 22 25; email: g.chankvetadze@optimusi.ge

სასაწყობე-საწარმო ტიპის ნაგებობას, რომლის ტექნიკური მდგომარეობაც ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საპროექტო შენობა თავისი კონსტრუქციული წყობით არ წარმოადგენს მძლავრი ტიპის აგრესიულ ნაგებობას, ის შენდება მსუბუქი ტიპის სამშენებლო მასალით, რასაც არსებულ შენობა №1/1-ზე უარყოფითი სახის ზემოქმედება ნულამდე დაჰყავს.

საპროექტო ნაკვეთს მომიჯნავე მიწის ნაკვეთები ოთხი მხრიდან ესაზღვრებიან. კედრძოდ,

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.16.002.102

მასზე განთავსებული შენობა საპროექტო შენობისგან დაშორებულია 40,00-45,00 მ-ით რაც გამორიცხავს მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენას.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.16.002.103

მასზე განთავსებული შენობა საპროექტო შენობისგან დაშორებულია 30,00-36,00 მ-ით რაც გამორიცხავს მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენას

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.16.002.137

ნაკვეთზე შენობა-ნაგებობა არ ფიქსირდება.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.16.002.050

მასზე მდებარე შენობა ასევე დიდი მანძილითაა (დაახლოებით 70 მეტრამდე მანძილი) დაშორებული საპროექტო შენობასთან, რაც ასევე გამორიცხავს რაიმე სახის ზემოქმედებას.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +995 595 90 22 25;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 90 22 25; email: g.chankvetadze@optimus.ge

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეის მდგომარეობით, საპროექტო ნაკვეთზე მდებარე ქ.თბილისი, კახეთის გზატკ. №106 (ნაკვეთი 02/073) მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.16.002.073-ზე მშენებარე საწარმოო ფუნქციური დანიშნულების შენობის სამშენებლო სამუსაოების ჩატარება მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული სამუშაოები და შენობის შემდგომი ექსპლუატაცია უარყოფითად არ იმოქმედებს მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე განთავსებულ შენობა-ნაგებობების საერთო მდგრადობასა და საიმედოობაზე.

სამუშაოები ჩატარდეს ქვეყანაში არსებული სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით.

შპს "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი

გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +995 595 90 22 25;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 90 22 25; email: g.chankvetadze@optimusi.ge